დანართი 15

წყალდიდობა-წყალმოვარდნა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან შემოვიდა შეტყობინება, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კოკისპირული წვიმებისა და მთებში თოვლის ინტენსიური დნობის შედეგად, 15 აპრილს მოსალოდნელია მდინარე სუფსის ადიდება და ნაპირებიდან გადმოსვლა, მოსალოდნელია წყალდიდობა და წყალმოვარდნა. მუნიციპალიტეტის დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიიდან დილის 06:00 სთ მოსახლეობა იწყებს 112-ში შეტყობინების გაგზავნას, რომ მთელი ღამის განმავლობაში უხვი ნალექების გამო ადიდა და კალაპოტიდან გადმოვიდა მდ. სუფსა და მისი შენაკადები. წყალმოვარდნის შედეგად იტბორება ჩოხატაური-ბახმაროს და ჩოხატაური-გუთური-ერკეთის საავტომობილო გზების გზაჯვარედინი; ასევე, მდ. სუფსის ადიდების შედეგად იტბორება ჩოხატაური-გუთური-ერკეთის მიმდებარე ტერიტორია (42.008089° 42.241559°) დაახლოებით ერთი საათის შემდეგ არსებული მონაცემებით დატბორვის არეალი იზრდება. იტბორება:

- ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლი: 3 ოჯახი - 8 ადამიანი (ყოფილი ჩაის ფაბრიკის საერთო საცხოვრებელი);
- სასტუმრო "პაგიო"- ს მიმდებარე ტერიტორია;
- სავაჭრო ობიექტების 1 სართული;
- საქმიანი ეზოს ტერიტორია (დანართი 15.1).

პარალელურად შემოდის ინფორმაცია მდინარე სუფსის ნაპირებიდან გადმოსვლისა და ტერიტორიების გადმოსვლის შესახებ, სოფლების დაბლაციხის და ბუკისციხის ტერიტორიებზე. საჭიროა მოსახლეობის ევაკუაცია. კერძოდ: სოფ. დაბლაციხიდან 8 ოჯახის, ხოლო სოფ. ბუკისციხიდან 12 ოჯახი. წინასწარ განსაზღვრულია ევაკუაციის შეკრების ადგილები, რომლებიც განთავსებულია სოფელ დაბლაციხისა და სოფელ ბუკისციხის საჯარო სკოლის შენობებში. (დანართი 15.1)

შემდგომში, 2 საათის შუალედში (საორიენტაციოდ დილის 8.00 საათამდე) დატბორვის არეალი კვლავ ფართოვდება და წყლის დონე ზოგიერთ ლოკაციაზე აღწევს ერთ მეტრამდე. სტიქიის ზონაში მყოფი მოსახლეობა ცდილობს თავი შეაფაროს დატბორილი სახლების მეორე სართულებს ან შემაღლებულ ადგილებს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წყლის დინება საშუალებას იძლევა მცურავი საშუალებების გამოყენებისათვის, ადგილზე მობილიზებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, მაშველები იწყებენ მოსახლეობის გამოყვანას სამაშველო ნავებით.

სსმს-ის თანამშრომლები შესაბამის უწყებებთან ერთად უზრუნველყოფენ სტიქიის ზონაში ჩარჩენილი ადამიანების და დაზარალებულთა სიების შედგენას.

ამ დროისათვის (მაქსიმუმ დილის 08.00 საათისთვის) იკრიბება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საგანგებო შტაბი, რომელიც ადგენს დატბორვის ზონას, პოლიცია უზრუნველყოფს სტიქიის ზონისაკენ მიმავალი გზების შემსვლელთათვის ბლოკირებას, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მგზავრთა და ავტომანქანების ნაკადის მართვას.

ევაკუირებულ მოსახლეობას საჭიროების შემთხვევაში უტარდება სამედიცინო დათვალიერება რის შემდეგაც, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოყოფილი სატრანსპორტო საშუალებებით

ხდება მათი გადაყვანა წინასწარ განსაზღვრულ დროებით საცხოვრებლებში, სადაც ხორციელდება მათი საკვებით, წყლით, პირველადი მოხმარების ნივთებით მომარაგება. ადგილობრივი შტაბის მიერ საჭიროებებიდან გამომდინარე ადგილზე მობილიზებულია შესაბამისი სამსახურები.

მეორე დღის დილის 10.00 საათიდან, საგანგებო სიტუაციის ზონაში იწყება გაწმენდითი სამუშაოები სსმს-თან შეთანხმებით.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ იწყება წყლის დონეზე დაკვირვება და სტიქიის ზონაში მოხვედრილი მატერიალური სიკეთეების და დაზიანებების აღრიცხვა (ზარალის შეფასება). პარალელურად ხორციელდება ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მობილიზება გაწმენდითი სამუშაოებისათვის.

საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის მიხედვით გასატარებელი ღონისძიებები

პრევენცია

პრევენციის უმთავრესი მიზანია მუნიციპალური ორგანოების, ორგანიზაციებისა და მოსახლეობის მონაწილეობით, მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვა, საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების მუდმივად ორგანიზება.

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება, საგანგებო მართვის გეგმის საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორიც არის:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განასაზღვრა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა.

დ) წყალდიდობისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება / კორექტირება / დახვეწა;

დეტალური ღონისძიებები იხილეთ ცხრილი 1-ში.

საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკის წყალდიდობა (წყალმოვარდნა) ფარგლებში გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები:

N	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განხორციელებაში დამხმარე პირები	განხორციელების ვადები	შენიშვნა

1	მდინარე სუფსის მარჯვენა სანაპიროზე, დატბორვის არეალში, გასაწმენდია მდინარის მთავარი არხი დაახლოებით 300 მეტრ სიგრძეზე	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურები სა ა(ა)იპ ჩოხატაურის სერვის ჯგუფი.	ტენდერით გამოვლენილი კომპანიები	ივლისი - ოქტომბერი	სამუშაოები განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე შესაბამისი უწყებების მიერ შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, დაფინანსების მოძიების გზით.
2	სადაზღვევო პაკეტების შეთავაზება/მომზადება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული, საფინანსო საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის განყოფილება	სადაზღვევო კომპანიები	კალენდარული წლის იანვარი-აპრილის პერიოდში	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს რისკის არეალში მცხოვრები მოსახლეობისათვის სადაზღვევო კომპანიებთან შუამდგომლობას და სადაზღვევო პაკეტების შეთავაზებას
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა					
3	შშმ პირთათვის სათანადო ინსტრუქტაჟის ჩატარება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ჩოხატაურის ფილიალი	
4	შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (დამხმარე პერსონალი) ინსტრუქტირება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ჩოხატაურის ფილიალი	
5	შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ჩოხატაურის ფილიალი	

მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს როგორ მოიქცნენ წყალდიდობის დროს. პერიოდულად, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ორგანიზება უნდა გაუკეთდეს მათ სწავლებას თემატურ საკითხებზე. ასევე ინფორმირებული უნდა იყოს, როგორ მოიქცეს წყალდიდობის დროს შენობის არქიტექტურულ-კონსტრუქციული თავისებურებების გათვალისწინებით. უზრუნველყოფილი უნდა იქნას კავშირგაბმულობის და შეტყობინების საშუალების საიმედო ფუნქციონირება.

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიების შესახებ მონაცემთა ბაზა. რის საფუძველზეც ორგანიზება უკეთდება საგანგებო მართვის გეგმების სრულყოფასა და განვითარებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს როგორც მათ ინფორმირებას, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისთვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკის - წყალდიდობა (წყალმოვარდნა) ფარგლებში გასატარებელი მზადყოფნის ღონისძიებები:

N	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	წლის განმავლობაში მინიმუმ 10 საჯარო სკოლის 8-12 კლასების მოსწავლეებისათვის და დაინტერესებული საზოგადოებისათვის (პირველ რიგში რისკის არეალში მაცხოვრებლები) ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება წყალდიდობის, წყალმოვარდნის და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური და შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	კალენდარული წლის პერიოდში	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის საფუძველზე სწავლებას ჩაატარებს შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
2	საევაკუაციო წვრთნა	მუნიციპალიტეტის მერია, შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	კალენდარული წლის პერიოდში	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის საფუძველზე სწავლებას ჩაატარებს შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
3	რისკის შემცველ ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი	კალენდარული წლის პერიოდში	

	მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით	სამსახურები/შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური		
4	ევაკუირებულ მოქალაქეთა განთავსებისათვის ფასთა კვლევა, მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას საორიენტაციო ხარჯების გათვალისწინებისათვის.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
5	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსხური, უზრუნველყოფს მოთხოვნის შემუშავებას და შესაბამისი ანგარიშგების შედგენას საჭიროების შემთხვევაში პირველადი მოხმარების საგნების შეძენისთვის (პრიორიტეტულია საძილე ტომრები, კარვები, მედიკამენტები).	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსხური, ადმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ასევე წითელი ჯვრის საზოგადოება ჩოხატაურის ფილიალი.	კალენდარული წლის პერიოდში	
6	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახური უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო მოქალაქეთა ტრანსპორტირებისათვის საჭირო ტრანსპორტის მოძიებას მუნიციპალიტეტში არსებულ კერძო ან/და საჯარო პირებთან მოლაპარაკებების გზით, რის საფუძველზეც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისი წლის ბიუჯეტში ფინანსების მობილიზებას.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური	კალენდარული წლის განმავლობაში	

7	ევაკუირებულ მოქალაქეთა საკვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო მარაგების მოძიებას მუნიციპალიტეტში არსებულ საკვების მიმწოდებელ დაწესებულებებთან წინასწარი მოლაპარაკების გზით, რის საფუძველზე აღნიშნული სამსახურები უზრუნველყოფენ შესაბამისი წლის ბიუჯეტში ფინანსების მობილიზებას.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მუნიციპალური შესყიდვების სამსახური		
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა				
8	შშმ პირებისათვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება	ყოველ 6 თვეში ერთხელ
9	შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (დამხმარე პერსონალის) ინსტრუქტირება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება	ყოველ 6 თვეში ერთხელ
10	შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		ყოველ 6 თვეში ერთხელ

რეაგირება

არსებული ინფორმაციის საფუძველზე იგეგმება საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო და სხვა გადაუდებელი ღონისძიებები, ხდება საჭირო საავარიო-სამაშველო ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის უზრუნველყოფის ღონისძიებები:

ა) განგაშის გამოცხადება და შეტყობინება;

ბ) საველე ოპერაციების ცენტრის გაშლა და საგანგებო რეაგირების ჯგუფების დაკომპლექტება;

გ) საგანგებო სიტუაციების ზონებიდან ინფორმაციის მიღება დამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამის ღონისძიებების დაგეგმვა;

დ) საგანგებო სიტუაციების ზონებში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის (საავარიო-სამაშველო, ადამიანთა ძებნის, სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების) განხორციელება;

ე) ოპერაციების კოორდინირება;
ვ) ლოჯისტიკური უზრუნველყოფა;
ზ) ბრძანებების გაცემა და მათი შესრულების კონტროლი;
თ) ინფორმაციის მართვა;
ი) მოთხოვნების დამუშავება დახმარების შესახებ;
კ) რესურსების მიღება და მართვა;
ლ) რეაგირების ძალების პერსონალის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;
მ) ფინანსების მართვა;
ნ) დაზვერვითი ოპერაციების ჩატარება, შემფასებელი პერსონალის ან ჯგუფის მოქმედებაში მოყვანა და გეოგრაფიულ-ინფორმაციულ სისტემების ამოქმედება(GIS)
ო) საგანგებო სიტუაციების დროს არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის ორგანიზება.

დაუყონებლივ იწყება საავარიო-სამაშველო, ადამიანთა ძებნის, სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების, სამედიცინო დახმარების, საევაკუაციო, გზების გაწმენდის ორგანიზება.

საგანგებო სიტუაციის ზონიდან მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის მიზნით იხსნება ევაკუირებულთა შემკრები, საშუალედო, მიმღები პუნქტები. შესაბამისად ორგანიზება უკეთდება ევაკუირებულთა აღრიცხვის, სამედიცინო დახმარების, სურსათით, ცხოველის საკვებისა და პირველადი მოხმარების საგნებით, წყლის აუცილებელი მარაგით და საცხოვრებლით უზრუნველყოფას.

ორგანიზება უკეთდება მოსახლეობის სახანძრო, საინჟინრო, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დაცვის ღონისძიებებს.

საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკის - წყალდიდობა (წყალმოვარდნა) ფარგლებში გასატარებელი რეაგირების ღონისძიებები:

N	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	საგანგებო სიტუაციის ზონიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ვითარების შეფასება, გადაწყვეტილების მიღება განგაშის გამოცხადებასა და შტაბის შეკრების თაობაზე	სსდ გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთ. სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილება	„სთ“ + 10 წთ	
2	საგანგებო მართვის შტაბის წევრების შეტყობინება	ადმინისტრაციული სამსახური	„სთ“ + 15 წთ	
3	საგანგებო მართვის შტაბის შეკრება	ადმინისტრაციული სამსახური	„სთ“ + 35 წთ	
4	სამაშველო და (საჭიროების შემთხვევაში) ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	საგანგებო შტაბი	„სთ“ + 40 წთ	

5	საევაკუაციო ქმედებებში ჩართული პერსონალის, მოსახლეობისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა, სამკურნალო, სანიტარულ-ჰიგიენურ და ეპიდ-საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	საგანგებო შტაბი	„სთ“ + 1 სთ	
6	მოსახლეობისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების ევაკუაცია საგანგებო სიტუაციის განვითარების ადგილიდან.	საგანგებო შტაბი	„სთ“ + 1 სთ და 30 წთ	
7	მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია უსაფრთხო ზონებში, შესაბამისი დაცვის ორგანიზება.	საგანგებო შტაბი	„სთ“ + 2 სთ	
8	მართვის კავშირგაბმულობის და შეტყობინების სისტემების მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით ინფორმაციის დაზუსტება და შესაბამისი ზომების მიღება	საგანგებო შტაბი	„სთ“ + 1 სთ ყოველ საათში განმეორებით	
9	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის, მათ შორის სატრანსპორტო მიმოსვლის რეგულირების მიზნით გადაწყვეტილებების მიღება და განკარგულების გაცემა.	საგანგებო შტაბი	„სთ“ + 3 სთ	
10	საგანგებო სიტუაციების ზონიდან განახლებული ინფორმაციის საფუძველზე საგანგებო ვითარების შეფასება და მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე დავალებების გაცემა.	საგანგებო შტაბი	„სთ“ + 4 სთ	
11	დამატებითი ძალების მოზიდვის საჭიროების შემთხვევაში წინადადების მომზადება და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა.	საგანგებო შტაბი	„სთ“ + 5 სთ	
12	ხელმძღვანელობის წინაშე არსებული ვითარების შესახებ ანგარიშის მომზადება და გაგზავნა.	საგანგებო შტაბი	„სთ“ + 6 სთ და შემდგომ ყოველ ექვს საათში	

მართვის შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის ორგანიზება

საგანგებო შტაბის წევრებს და მათ დაქვემდებარებულ პირებს ან/და საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაციაში ჩართულ სხვა პირებს შორის კავშირი განხორციელდეს სატელეფონო საშუალებებით. საქალაქო ან მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში კავშირი განხორციელდეს სპეციალური რაციებით ან კურიერების მეშვეობით.

აღდგენა

საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკის - წყალდიდობა (წყალმოვარდნა) ფარგლებში გასატარებელი აღდგენის ღონისძიებები:

მას შემდეგ, რაც წყლის დონე დაიწევს და ადგილზე მუშაობა გახდება უსაფრთხო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და მერიის შესაბამისი სამსახურები იწყებენ აღდგენითი სამუშაოების შესრულებას.

1. საგანგებო სიტუაციების სამსახური იწყებს დატბორილი სარდაფებიდან წყლის ამოტუმბვას;
2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ადგენს შენობების საცხოვრებლად ვარგისიანობას მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელთან ერთად;
3. ხორციელდება მატერიალური ფასეულობების გამოტანა დასუფთავება და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვებას;
4. მერიის სამსახურების და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სტიქიის ადგილზე ხორციელდება გაწმენდითი სამუშაოები, ქვაღორღის, ნაშალი მასის, ჩახერგილების გაწმენდა;
5. ტრაქტორ/ექსკავატორი იწყებს შეგუბებული დაბლობიდან მდინარის კალაპოტამდე მცირე ზომის არხების გაყვანას რათა შეგუბებული წყალი დაბრუნდეს მდინარეში;
6. ა(ა)იპ ჩოხატაურის სერვის ჯგუფი, იწყებს სანიაღვრე არხების გაწმენდას დაგროვილი ნაგვისაგან და ასუფთავებს დატბორილ ქუჩებს და უბნებს;
7. გაწმენდით სამუშაოებთან ერთად იწყება სამუშაოები დაზიანებული კომუნიკაციების აღსადგენად. (ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მაგისტრალების შემოწმება აღდგენა).